№ 276
სამშაბათი, 21 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

თვე		მან.	კ.	თვე		მან.	კ.
12	. . .	10	—	6	. . .	6	—
11	. . .	9	50	5	. . .	5	50
10	. . .	8	75	4	. . .	4	75
9	. . .	8	—	3	. . .	3	50
8	. . .	7	25	2	. . .	2	75
7	. . .	6	50	1	. . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1893

ივერია

№ 276
სამშაბათი, 21 დეკემბერი 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ფერადი სურათი

ალექსანდრე ყაზბეგისა

დაიბეჭდა დემუროვის ლიტოგრაფიაში და დაურიგდა ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიას

ფასი—ერთი აბაზი

ვინც 20 ცალს ან მეტს დაიბარებს, დაეთმობა ერთი მეხუთედი ფასი სურათისა.

ადრესი: Тифлисъ, Чугуреты, Гончарная, М. Тоидзе.

(3—2)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,
ბენეფისი
ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ
წარმოდგენილი იქნება.

I

პირველად ახალი პიესა

გულის თქმა

დრ. 4 მოქ. რაკშანინისა, თარგ. ნიკიტინისა

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, ნებიერიძისა, ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ 7$^1/_2$ საათზედ

ტფილისი, 21 დეკემბერს

კვირას, საქართველოს დედა-ქალაქი გამოეთხოვა საუკუნოდ ალექსანდრე ყაზბეგის ნაშთს. ის გულითადი პატივისცემა და სიყვარული, რომელიც ამ ჩინებულს მწერალს გაატანა, როგორც ქალაქმა, აგრეთვე დანაშთენ საქართველოს ერმა ცხადად ამტკიცებს, რომ ქვეყანას შეუგნია თავის ერთგულ და ნიჭიერ შვილთა მნიშვნელობა.

ჩვენ სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია თითოეულად დავბეჭდოთ აუარებელი ის სამძიმრის ბარათები და დეპეშები, რომელიც რედაქციას მოუვიდა ყაზბეგის გარდაცვალების გამო; ვიტყვით მხოლოდ, რომ ნიადაგი მწერლობისა და ქვეყნის სამსახურისა, უეჭველია მომზადებულა, და ეხლა ჩვენს ახალგაზდა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კეთილ-გონიერებასა და ნიჭზე არის დამოკიდებული კეთილი სთესონ ამ ღვთისაგან რჩეულ ქვეყნის გულში.

დიაღ, საქართველო მართლა რომ ღვთისაგან რჩეულ ქვეყნად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამოდენი ტანჯვა, ამოდენი განსაცდელი და სასჯელი ძნელად თუ სხვა რომელსამე ქვეყანას გამოუვლია მთელს დედამიწის ზურგზე!

მრავალთა საუკუნოების განმავლობაში საქართველო ერთ ხელში ჯვარით და მეორეში ხმლით იგერებდა ყოველის მხრით მოსე ულს მტერს. უანგარო ისტორია დაათვასებს ქართველის ერის თავგანწირულ ბრძოლას, რომლის წყალობით ევროპას ბევრჯერ ასცდენია ბარბაროსთა შესევა. მართალია, ეს ხანგრძლივი სულის კვეთებამდი აღსრული ბრძოლა ძვირად დაუჯდა საქართველოს; მართალია, 15 მილიონის ნაცვლად ის ეხლა ძლივს 2 მილიონი-ღაა—მაგრამ სჯული, ენა და საკუთარი სახე ქართველისა—მაინც შეირჩინა მეცხრამეტე საუკუნემდის. ხოლო ეს საუკუნე ჩვენის ქვეყნისათვის, უკანასკნელ ქართველთა მეფეების აზრით, ნავთსაყუდლად უნდა შექმნილიყო, რადგანაც საქართველოს მართველთა თავისი ბედი მიანდვეს ერთმორწმუნე ძლიერს რუსეთის ერს. საქართველოს სჯეროდა და სასოებდა, რომ ხალხი, რომელიც იმავე ღმერთს აღიარებდა, და იმავე წმიდა პატიოსან ჯვარს თაყვანსა სცემდა, შეითვისებდა მას ძმურად. ქვეყანას სჯეროდა, რომ ამიერითგან აღარ დაადგებოდა განსაცდელი: არც ქართველის ერის სარწმუნოებას, არც ენას, და არც ერის ნიჭის თავისუფალ განვითარებას და წარმატებას.

მერე რა მოჰყვა ქართველის ერის ასეთ ნდობას რუსეთისადმი? ისა, რომ დიდებულნი მეფენი რუსეთისა აღიარებენ ქართველთა ერთგულებას, სამსახურს და სიყვარულს.

ამ ძვირფასის ჩვენთვის გრძნობათა და აზრთა წყალობით—დღეს ჩვენ გულ-დამშვიდებულნი ვართ და დაიმედებულნი, რომ საქართველოს ერის საჭიროება, იმისი გულის ტკივილი, იმისი სამართლიანი მისწრაფება ყოველთვის გზას იპოვნის თავის ძვირფასის მეფის იმპერატორის გულისაკენ. ჩვენ სრულიად არ [illegible] გვაძიხებს, ის დაბრკოლებანი, რომელსაც ადგილობრივი მდგომარეობა წარმოგვიდგენს, რადგანაც ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ იქ, შორს, არის დიდებული მზრუნველი და მფარველი საქართველოს ერისა, რომელიც მამობრივის სიყვარულით თვალ-ყურს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას.

მართალია, სიცოცხლე ნადიმი არ არის, იგია ბრძოლა, და ადამიანის ხასიათი, იმისი რწმუნება, იმისი გონების ძალა მხოლოდ გასაჭირში უნდა გამოიცადოს.

მაგრამ, სუსტი, უძლური და სულმოკლე—მონაა უბედურის შემთხვევისა; განსაცდელის დროს იგი ჰკარგავს იმედს, ესპობა ღონე და სასოწარკვეთილი ჰნებდება მწუხარებას და სინანულს.

ასეთია ცხოვრების კანონი კერძო ადამიანისთვის და ასეთივე კანონია მთელის ერისათვის.

ქართველისათვის სიფხიზლე და სიმხნე ყოველთვის ეროვნული თვისება ყოფილა.

ამ ძვირფასის თვისების წყალობით ქართველ ერს არაოდეს არ მოუხრია ქედი უკუღმართ გარემოებათა წინაშე და დაუმტკიცებია ქვეყნისთვის, რომ სიცოცხლისა და სინათლის დაცვა შესძლებია მარად ჟამს.

თუ-კი მაშინ, როდესაც ქართველი ერი თავის ანაბარად იყო დარჩენილი ურიცხვ მტერთა შორის, და შესძლო შეენახა ყოველივე ის, რაც უძვირფასესია ერისათვის: სჯული, ენა, საკუთარი ეროვნული სახე—დღეს რაღა მიზეზი უნდა გვქონდეს, რომ მცირეოდენი ეჭვი დაგვებადოს ჩვენს ნათელს და ბედნიერ მომავალზედ, დღეს, როდესაც შევკედლებივართ სახელმწიფოს, რომელსაც დევიზათ აქვს: სიმართლე და [illegible] ყველა ქვეშევრდომ ერთათვის!

მენავე

◆

ბუნების გლოვა

მთანი ბურვილან თოვლითა
და მაღლით იცრემლებიან;
დაბლით სევ-სუვნი მის ცრემლსა
სვამენ და ვერა ძღებიან.
თერგი მრისხანებს, ბობოქრობს
და სევდით აზვირთებულა;
ზვავნი თავს ვერღა იჭერენ,
ერთურთზედ შეხეთქებულა.
მთა-კლდეს ჩაუცვამს ძაძანი,
გულს ნისლი ჩაუხვევია,
შუბლ-შერჭმულს მყინვარს მკერდზედა
საკინძე ჩაუხვევია...
ქვას და კლდეს გულით ნაყვენთი
კურცხალი დასწვეთებია;
წუხილით პირსა იხოკენ
შავი და ზნელი მთებია.
ბუ კლდის ნაპრალში გაჰკივის,
არწივი წივის გლოვასა,
რქებ დამტვრეულსა ძრწოლა აქვს
ირმის და ჯიხვის ხროვასა.
ოთხ კუთხივ ზათქი გაისმის,
ვართ კაცს მგლოვიარეთა;
ბარო, მთას დაბადებული,
აქვე მთას მოგვაბარეთა.
კაი, გატყდა კაცი
კლდე გული, სიტყვა-მეხია,
კაი მის ჩანქანს, აბჯარსა,
კალამს, რომ წვერი სტეხია!..

კენტი

ა. მ. ყაზბეგის გასტუმრების გამო

მთასაც ეუწყა ამბავი:
დაკარგვა პირ-მშო შვილისა.
გამოიღვიძე, ბუნებავ,
დრო აღარ არის ძილისა!
მოგეგებება არაგვი,
უკვილით დაგიფენს გზაზედა,—
ხომ იცი უყვარს დედასა
შვილი დამდგარი ცდაზედა.
გულს გაგიგრილებს ნიავი,
როცა შასდგები მთაზედა.
[illegible]
მკვდარს მაინც გნახვენ თვალითა,
უაბჯროდ არ გაგზავნიან,
წელს შეგიმკობენ ხმალითა.
გიცნობენ თავის ერთგულსა
ცრემლით მორწყულის კვალითა.
ექნებათ დასაბარები,
შენც დაისწავლი მგონია,
ამბავი იმათ ყოფნისა,
ამბავი დასაღონია
ახლოს გყავს ბერი მყინვარი,
ქედ-მოუხრელი გმირია;
ის განუგეშებს, მხოლოდ ის,—
რჯული არ გაუწირია.

ვაჟა-ფშაველა

ა. მ. ყაზბეგის სახსოვრად

დადუმდა ენა მეტყველი,
დაფერფლდა გული მკვნესარი;
დაბნელდა თვალთა ნათელი
ტანჯულ და გვემულთ მხედვარი,
დაობლდა მისი ქვეყანა,
ვეღარ იხილავს ეგ არი!
მან შეგკმღვნა გმირნი უკვდავნი

ფელეტონი

იმერეთის დედოფალი მარიამი

(ნამბობი კ. ა. ბოროზდინისა)

1815—1820 წლებს შორის პეტერბურგში სცხოვრებდა განმარტოებულ ხის სახლში ერთი მაღალი წოდების დედაბერი—იმერეთის დედოფალი მარიამი. ეს სახლი იდგა ეხლანდელ ლიტეინის პროსპექტის ერთ-ერთ მახლობელ ქუჩაზედ. მისი ცხოვრება ძალიან წყნარი და მშვიდობიანი იყო; აქეთ-იქით იშვიათად დაიარებოდა, ტანთ ქართულად ეცვა და მისი მიბრუნებული სახე მეტყველებდა უწინდელს საცვიფრო მშვენიერებასა. მისი მახლობელნი მხოლოდ რამდენისამე მოსამსახურისა და მოახლისაგან შესდგებოდნენ; მათგან ზოგი ხნიერნი და ახალგაზდანი თან მოყოლილნი იყვნენ შორეული სამშობლოდან. იგინი ეპყრობოდნენ დიდის მოწიწებით, რომელიც სასოებით თაყვანის ცემას უდრიდა.

ყოველ კვირა დღეს დედოფალი დაბძანდებოდა სასახლის კარეტით მახლობელ ყოველთა მწუხარეთა ნუგეშის ღვთის მშობლის საყდარში, ანუ ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ხოლო დიდს დღესასწაულებში და ტაბელის დღეებში დაესწრობოდა ხოლმე სამეფო სახლეულთა გამობრძანებასა და ბალებში. მისი სადღესასწაულო ტანთსაცმელი მუდამ ერთნაირი იყო: თეთრი ატლასის კაბა, ეგრეთივე ოქრომკედით ნაკერი ქათიბი და მას ქვეშ სჩანდა ლენტი და ვარსკვლავი წმ. ეკატერინეს ორდენისა, თავს უმშვენებდა ძვირფასი ქვებით შემკული თავსაკრავი და გრძელი გაზირის ლეჩაქი. დედოფალს ძალიან ეფერებოდნენ ორივე იმპერატრიცანი, ხელმწიფეც ძალიან მოწყალედ ეპყრობოდა; მაგრამ მის დარბაისლობით სიკეთით და სიმშვიდით სავსე სახეზედ იშვიათად აღებეჭდებოდა ხოლმე ღიმილი. დიდი მწუხარება გამოიარა მაგ დედაკაცმა თავის სიცოცხლეში, მას შემდეგ, რაც მისი ქმარი, იმერეთის მეფე სოლომონი, რამდენისამე წლის წინად გაიქცა ოსმალეთში და ფიცი გასტეხა. ეს ამბავი ასე მოხდა:

კუჩუკ-კაინარჯის მორიგებისამებრ (რუსეთსა და ოსმალეთს შუა) 10 ივლისს 1774 წ. საქართველოს ყველა ქრისტეანე მთავრები განთავისუფლებულ იქმნენ ოსმალეთის ქვეშევრდომობისაგან და სამარცხვინო გარდასახადისაგან ყმაწვილებით და ქალებით, აღიარებულ იქმნენ თვითმფლობელებად, მაგრამ ნამდვილად-კი ეგ თავისუფალი თვით-მფლობელობა (автономія) დაშთა სისრულეში მოუყვანელი. რუსის ჯარმა რომ ოსმალეთი და სპარსეთი დაამარცხა და საქართველოდან გავიდა, სპარსელებმა და ლეკებმა წინანდელებრ იწყეს საქართველოს რბევა, ხოლო ოსმალნი თავისებურად იკლებდნენ დრო-გამოშვებით იმერეთს, სამეგრელოს და საქართველოს, აჩხუბებდნენ მეფეებს და მთავრებს ერთმანერთთან და აოხრებდნენ ქვეყანას. ესეთი წეს-წყობილება აუტანელი იყო; საქართველოს ქრისტეანე-მთავართა მოჰპეზრდათ ორ ცეცხლშუა ყოფნა და მას შემდეგ, რა-კი 1801 წ. მომაკვდავმა მეფე გიორგი XII-მ თავისი სამეფო გადასცა რუსეთის იპერატორს, იმათაც მიჰბაძეს გიორგი მეფეს და თითო-თითოდ შეეფარნენ—1803 წ. სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი, ხოლო საქართველოს მთავარ მართებელ ციციანოვთან მოლაპარაკების შემდეგ (ეს მოლაპარაკება სწარმოებდა გვარდიის პორუჩიკის გრაფის მ. ს. ვორონცოვის პირით—შემდეგში რომ კავკასიის ნამესტნიკად იყო) იმერეთის მეფე სოლომონიც. ამ საქმის ასე გადაწყვეტას სოლომონი მაგდენს მნიშვნელობას არ აძლევდა და ამიტომ რუსთა მთავრობის საწინააღმდეგოდ თავის მოქმედებასაც დანაშაულად არა სთვლიდა.

ეგრედ წოდებულის სათხოვარის მუხლების (просительные пункты) გამო, რა-კი რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი ხდებოდა, სოლომონს ეკარგებოდა უფლება თავის ქვეშევრდომთა ზედა სისხლის სამართლის წარმოებისა, ანუ მათი სიკვდილით და მძიმე დანაშაულისათვის დასჯისა და იგი რჩებოდა სამოქალაქო გამგებლად თავის სამეფოჲსა. ამასთანავე სამეფოს მოსამზღვრე ოსმალებთან არ შეეძლო რაიმე ლაპარაკი დაეწყო, ანუ რაიმე პირობა შეეკრა საქართველოს მთავარ-მართებლის დაუკითხავად. ქუთაისში შევიდა ზოგიერთი რუსის ჯარის ნაწილი და დაბინავდა; მეფეს-კი მიუჩინეს განსაკუთრებული მოხელე, რომელსაც

ღრმა სიყვარულით ნაშობი,
იდეალს მისცა ჩვენს გულში
ფეხ-მოუცვლელი სამყოფი.
ნეტავი იმას, მას ნერგმა
მოიღო წმიდა ნაყოფი.
მაღალმა მისცა მას მადლი,
ბუნების ძალმა იშვილა;
დაფარულთ გულის კუთხეთა
მისწვდა, მათ ნძრევა ისმინა;
გულს ჩასწვდა ტანჯვა მოძმისა,
ჰგვნესდა და ისე ითმინა.
და აჰა, მოთმინებამა
ბოლოს რა რიგად დაღალა,
გონება დაშრტა, უგუნმა
მის წმიდათ-წმიდა შებღალა,
კაცი დაეცა... შეშლილმა
ცას და ქვეყანას შეჰბღავლა.
რა იქნა მაღლა მომთქმელი,
რა გვექნა ქვეყნის მოზარე?
რასა მდუმარებს? უგრძნობლად
ცის ქვეშ წევს ჩაგრულთ მოყვარე?!
პასუხს ვინ მომცემს?—ნუ თუ ეს
ცივი და ბნელი სამარე?!.

თ. რაზიკაშვილი

ალექსანდრე ყაზბეგს

გიმუხთლა წუთის სოფელმა,
ქვეყანამ აღარ გიწამა;
წყეულმა ბედმა გაგწირა,
მოყვასმაც აღარ გიწამა!
წასულ დასჯილი, ტანჯული,
სამშობლომ აღარ გიწამა.
ფამ ცვარი ცრემლად აფრქვიოს,
მიგ[illegible]

მოღვაწევ შენის მამულის,
დარჩი თვით თავის ამარა,
ვეღარა ნახე მზის შუქი
და ვეღარც ცისა კამარა!
უვლა დაიხშო. შენთვისა
აწ შავმა მიწამ დაგფარა!

არავის უზიარებდი ტანჯულის გულის
ცემასა
თუ არ ელოდი, ბედ-კრულო,
მოძმეთა ნუგეშ-ცემასა,
გულ-ჩათხრობილი ოხრავდი,
შთავარდი მდუმარებასა.
ბევრჯელ მარტოკა ბედ-კრული
აფრქვევდი მდუღარებასა.

არ დაგივიწყებს, იცოდე,
მინამ ცოცხალ არს ქართველი,
არ დაგივიწყებს სამშობლო
და შენის ნიჭის მნახველი.
აღგადგენს თვით ისტორია
და შენი წმიდა სახელი.

კნ. ნინო ორბელიანისა

ა. ყაზბეგის გარდაცვალების გამო

„დადას“ იძახის ელგუჯა,
მზაღო ბანს ეუბნებისა;
ჯაჯალა, გაყურ-ჩაცმული,
შენსა სავლავსა სდნებისა.

ზეჩავ მათიას ცრემლები
შმაგს თერგსა შეერთებია;
სულთი, ციცია, ბეჟია
სევდასა დაჰმონებია.

ონისე, მასთან მაყვალა
მთა-კლდესა შეჰჩერებია,
ცრემლი ჰკლავს ორსავ უბედურს
და სევდა დასჩემებია.

ჯისვი ხარ-ლაღი ზეჩავი
ტოლებსა შესცრემლებია;
ვერ ნავარდობენ, ვერ სტიან
სად კლდეა, წიუხებია.

მოძღვარი ჯვარით ხელშია
უფალსა შეჰვედრებია,—
იმ ქვეყნად მაინც აცხოვნე
ამ ქვეყნად ნაწვალებია.

აპოლონ

სამძიმრის დეპეშები

ალ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო

გრაკალი: დათიკო მაღალაშვილისაგან: სულითა და გულითა ვწსუხვართ ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებისა გამო.

—

[illegible] თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავად ანდრონიკაშვილისაგან:

გთხოვთ, სიღნაღის თავად-აზნაურობისა და პირადად ჩემის სახელითაც გამოუცხადოთ მახლობელთ მვენი დიდი მწუხარება დაუვიწყარ ბელეტრისტის ყაზბეგის გარდაცვალებისა გამო.

—

ქუთაისიდგან: სამწუხარო ამბავმა ჩვენის ერის უწმიდეს გრძნობათა ნიჭიერ აღმომეტყველის ყაზბეგის გარდაცვალებისამ ღრმა ნაღველით აღავსო ქუთათურნი ქართველნი ქალნი. მისი ხსოვნა სამარადისოდ იქნება ჩამარხული ჩვენს გულში.

მარიამ ხელთუფლიშვილი

—

ნიგოითიდამ: ნიგოითის საზოგადოება საქართველოსთან ერთად ჰგლოვობს დაუვიწყარს ბელეტრისტსა და დაჩაგრულთა მეომარს. პანაშვიდი გადავიხადეთ.

—

თელავიდამ: თელავის მაზრის თავად-აზნაურობა, შეწუხებული საქართველოს ცნობილ ბელეტრისტის უდროვო გარდაცვალებით. გთხოვთ მის ნაცნობთა და ნათესავთ გულითადი სამძიმარი უთხრათ მის მაგიერ. ალ. ყაზბეგის დაკარგვით დიდი დასაკარგი დაჰკარგა ქართულმა ლიტერატურამ.

მაზრის წინამძღოლი ჯორჯაძე

—

ქუთაისიდამ: იმისთანა მოღვაწის დაკარგვამ, როგორიც იყო ყაზბეგი, დიდად შეგვაწუხა ჩვენ ყველანი. პანაშვიდს ვიხდით და ვევედრებით ღმერთს, მისი მიმბაძავნი ბევრნი გამოჩენილიყვნენ.

წინამძღოლი თავადი წერეთელი

—

ერევნიდამ: ერევნელი ქართველები დიდად ვსწუხვართ ალ. ყაზბეგის გარდაცვალებას და ვიზიარებთ მთელ საქართველოს მწუხარებას. გუშინ პანაშვიდი გადავიხადეთ.

კასრაძე, ზედგინიძე, ტატიშვილი და ავალიშვილი

—

ყვირილიდამ: ეს-ეს არის გადვიხადეთ პანაშვიდი ყაზბეგისათვის მის ნიჭის თაყვანისმცემელთა თანადასწრებით. ყვირილის ქართველობა ისწრაფის და სამძიმარს ეუბნება მიცვალებულის ნათესავთა. უდროვო სიკვდილმა გაანთავისუფლა გარდაცვალებული საშინელის ავადმყოფობისაგან, ხოლო გულნი ჩვენი შეჯაჭვა სამუ[illegible] მწუხარებამა და მძიმე ნაღველმა.

ყვირილელნი

—

ახალქალაქიდამ: ახალქალაქის სომეხთ ინტელიგენციამ გარდაიხადა პანაშვიდი „ელგუჯას“ განსვენებულ ავტორ უკვდავ ყაზბეგისათვის. დიდსა და ღრმა მწუხარებას ვუცხადებთ საქართველოს ერს ასეთის ყოველ ინტელიგენციისათვის დიდად საგრძნობელ დასაკარგის დაკარგვისათვის.

წარმომადგენელი ტერ-გრიგორიანცი

—

ქუთაისიდამ: დიდად ვსწუხვართ, რომ არ შეგვიძლიან დავესწრათ ჩვენთვის ძვირფას ბელეტრისტის დასაფლავებას, მაგრამ გულითა და სულითა მაინც მანდა ვართ.

მოსწავლე ახალგაზდობა

—

ნუხიდამ: გვიხარის, რომ ბოლო მოეღო ყაზბეგის ტანჯვას ამ ქვეყნად; ვსწუხვართ, რომ არ შეგვიძლიან უკანასკნელად გამოვეთხოვოთ საყვარელ მწერლის ნაშთს; ღმერთს ვევედრებით, რათა განუსვენოს სულსა მისსა.

ქართველნი

—

ახალ ქალაქიდამ: დიდის მწუხარებით გარდაუხადეთ პანაშვიდი საყვარელის მწერალისა და პატრიოტის ალექსანდრე ყაზბეგის სულის განსვენებისათვის. გთხოვთ, საყოველთაო მწუხარებას ჩვენი გლოვაც ზედ დაურთოთ.

ახალქალაქის ქართველობა

ახალი ამბავი

⁂ მწუხარებით მივეგებეთ ჩვენის დაუვიწყარის ბელეტრისტის ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების ამბავს. 11 დეკემბერს ყველა მოსწავლეებისა და მასწავლებლების თანადასწრებით პანაშვიდი გადავიხადეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ მასწავლებელმა კ. ბ—მ სიტყვა უთხრა მოსწავლეებს და განუმარტა, ვინ იყო ალექსანდრე ყაზბეგი და რა მიმართულების მწერალი იყო იგი.

წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლა

⁂ დიდად გული დაგვწყვიტა და გამოუთქმელს მწუხარებაში ჩაგვაგდო ძლიერის გრძნობისა და მაღალის ნიჭის პატრონ, ბელეტრისტის ალექ. მიხ. ყაზბეგის გარდაცვალების ამბავმა. ალ. ყაზბეგის ნაწერები აფხიზლებს და ამოძრავებს ხალხის გრძნობა-გონებას, უნერგავს კეთილშობილ მისწრაფებას, ინადირებს და იტაცებს მკითხველის გულს და ამიტომაც გატაცებით კითხულობენ მათ ყველანი. ჩვენთან ერთად ჰგლოვობს ამ ძვირფასის კაცის დაკარგვას გურიის მთელი მკითხველი საზოგადოება. გთხოვთ საქვეყნო მწუხარებას ჩვენი გლოვაც შეუერთოთ.

გურიის სახალხო წიგნთ-საცავის დამაარსებელთაგანი ისიდ. რამიშვილი

⁂ **ხაშური:** დღეს, 19 დეკემბერს 12 საათზე ხაშურში მყოფი ქართველები ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭის პატივისმცემელნი შეიკრიბნენ წმ. მარინეს ეკკლესიაში და მოიწვიეს მღვდელი მამა მათე სუხიშვილი, რომელმაც პანაშვიდი გადიხადა ალექსანდრე ყაზბეგის სულის მოსახსენებლად.

უძვირფასესის მწერალის დაკარგვამ დიდად შეაწუხა აქაური ქართველები.

იოსებ ფანცულაია

⁂ **ს. ახალ-ქალაქი** (გორის მაზრა): დღეს, 18 დეკემბერს, ჩვენს სასოფლო სკოლაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის მოსახსენებლად აქაურ ქართველი საზოგადოების, სკოლის მოწაფეების და მასწავლებლების თანა-დასწრებით. ამ პანაშვიდზე დამსწრენი გულითადს მწუხარებას ვუცხადებთ განსვენებულის ალ. ყაზბეგის ნათესავებს და ვგლოვობთ მათთან ერთად უძვირფასესის და დაუვიწყარის მწერალის დაკარგვას.

ახალ-ქალაქის სასოფლო სკოლის მასწავლებელი
თ. კეხელი

⁂ ცხინვალის ბოქაული ე. გუგუშვილი გვწერს, რომ პატარა ლიახვზედ გაკეთებული ხიდი გასინჯა და მოიწონა ტფილისის საგუბერნიო ინჟენერმაო. ამიტომ შენიშვნა ამ ხიდის შესახებ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და თ. კ. ხერხეულიძისა უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

⁂ **გორი:** ჩვენის სასიქადულო და მაღალის ნიჭით შემკული ბელეტრისტის ალ. ყაზბეგის გარდაცვალებამ ფრიად დაალონა და შეაწუხა გორის ქართველი საზოგადოება. მისის ნიჭის პატივისმცემლებმა პანაშვიდი გადაახდევინეს საკრებულო ტაძარში. პანაშვიდის გადახდის შემდეგ ბ-ნმა ნ. ლომაურმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა, რომლითაც დაუხატა მსმენელს საზოგადოებას მნიშვნელობა ალ. ყაზბეგისა ქართულს მწერლობაში.

⁂ **იქიდამვე:** კარგა ხანია გორში ნომრები დააკრეს სახლებსა, მაგრამ ქუჩების უსუფთაობას-კი ვერა მოუხერხეს-რა—წვიმიან დღეებში აქაურს ქუჩებზედ სიარული შეუძლებელია. ქუჩებზედ დიდი უწმინდურობა სუფევს.

აქ არის ესრედ წოდებული „რუსის უბანი“, სადაც ფართო მოედანი არსებობს. ამ მოედანზედ იმართება კვირა—უქმე დღეებში კრივი... მოკრივეთა ჟივილ-ხივილი ნაშუადღევის სამი საათიდგან საღამოს შვიდს საა-

---

მიცემული ჰქონდა წინათვე განსაზღვრული დარიგება და მინდობილება. სოლომონს არ შეეძლო მოჰრიგებოდა ესრეთს უცხო ბატონობას, მეტადრე დაახლოვებულ ნათესავთა და თავადთა გავლენისა გამო. კარის კაცნი მიჩვეულნი იყვნენ სუსტის ხასიათის მეფეზედ დიდი გავლენა ჰქონოდათ და როგორც უნდოდათ ისე ამოქმედებდნენ; რუსთა გაბატონება-კი ლაგამი იყო ეგრეთის თავგასულობისა და ამისათვის ყოველ-დღიურის ჭორებით მეფეს აგულიანებდნენ რუსების წინააღმდეგ. რუსეთის მოხელის და მთავარ-მართებლის მოთხოვნილებანი მეტად გვიან და ან სრულებით არ მოჰყავნდათ აღსრულებაში; ამ დროდამ მეფესა და ახალციხის ფაშას შუა საიდუმლო ლაპარაკიც-კი გაება; ურჩევდა, რუსები გაერეკნა თავის სამეფოდან და ისევ სულთანის ყმობა ერჩივნა. ამისათვის ჯარით მიშველებასაც-კი ჰპირდებოდა. ამ ამბავმა მიაღწია მთავარ-მართებლამდე და ამ ადგილზედ ხომ ციციანოვი აღარ იყო, რომელსაც მეფე სავსებით ენდობოდა: მის მოადგილედ ჯერ გუდოვიჩი დანიშნეს, მერე ტორმასოვი; ამ უკანასკნელს სოლომონი სრულიად არ იცნობდა. თავის მიწერ-მოწერაში ტორმასოვი პირველად მეტად ოფიციალურს კილოს მისდევდა; ხოლო როდესაც ახალ ციხის ფაშასთან სოლომონის მიწერ-მოწერა იგდეს ხელთ, მთავარ-მართებელმა პირდაპირ დაიბარა მეფე ტფილისში. წამოუსვლელობა არ იქნებოდა, რადგან ამით ერთის მხრივ ურჩობას დაამტკიცებდა ცხადად და მეორეს მხრივ კარგად იცოდა, რომ, თუ საჭირო იქმნებოდა, ძალას დაატანდნენ ყოვლაფერზე მორჩილი ყოფილიყო. ტფილისში სოლომონ მეფე დააყენეს ერთ-ერთს ორბელიანთ სახლში მტკვრის პირად; ნახვის დროს ტორმასოვმა უთხრა, რომ შენი ახალ ციხის ფაშასთან მიწერ-მოწერა აღმოჩენილაო; ამაზედ პეტერბურგში უკვე მოხსენება გავგზავნეო და პასუხის მიღებამდე აქ უნდა იმყოფებოდე შინაურულად დაპატიმრებულიო. სახლში ყარაული დაუყენეს.

ამ დღიდგან დაიწყო მეფისათვის უფერული ცხოვრება და თავ-მოსაბეზრებელი მოლოდინი იმისი, თუ რა იქმნებოდა შემდეგ. არავის ნახვა, ლაპარაკი არ შეეძლო, თუ არ ყარაულად მიჩენილის აფიცრის ნებართვით და დაკითხვით, და ისიც იმათთან, ვინც ცნობილნი იყვნენ, როგორც კეთილსაიმედონი. მოსამსახურეთაგან მიუჩინეს მისი განუშორებელი გლეხი ივანე სარალიძე. მაგრამ მეფის ერთგულთ თთ. ანდრონიკოვებს, აბაშიძეებს, წულუკიძეებს—არ ეძინათ: საიდუმლოდ და ძალიან ოსტატურად ტყობულობდნენ მეფის განზრახვათა და პასუხსაც ატყობინებდნენ და ეს საიდუმლო მისვლა-მოსვლა გათავდა მით, რომ ერთხელ ყარაული აფიცერი შევიდა მეფის ოთახში და ტახტზედ მწოლარე მეფის ტანისამოს ჩაცმული დახვდა მსახური ივანე სარალიძე და თვით სოლომონი-კი არსად იყო. იგი გაიქცა. ეს საქმე ასე მოახერხეს. სარალიძე დღეში რამდენჯერმე ჩადიოდა მტკვარზე სპილენძის თუნგით და წყალი ამოჰქონდა მეფისათვის; ამ ხშირმა გასვლა-შემოსვლამ ისე შეაჩვია ყარაულთა თვალი მსახურის უბრალო სახესა და ტანისამოსს, რომ იმას ყურადღებას აღარ აქცევდნენ და იმავე თუნგით გამოდიოდა მეფის ერთგულების სანახავად. ესე საქმის დაწყობის შემდეგ სოლომონმა ჩაიცვა თავის მსახურის ტანისამოსი, ჩამოიფხატა შუბლზედ ქუდი და ხელში თუნგით ჩაეშვა წყალზედ, სადაც განმზადებულნი თავადნი ელოდნენ შეკმაზულის ბედაურ ცხენით. მეფის გაქცევა რომ გამჟღავნდა, აქეთ-იქით გაგზავნილი მდევარი ვერას გახდა და ცარიელი მობრუნდა. მთის ბილიკებზე გასწია სოლომონმა ახალ-ციხისაკენ და მეორე დღესვე ფაშას საფარველ ქვეშ იყო.

ამ შემთხვევამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია ტფილისსა და იმერეთში. დააპატიმრეს მრავალნი; ივანე სარალიძე მეტეხის ციხეში ჩასვეს, სადაც რამდენიმე თვე იტანჯებოდა და ბოლოს შორეულ ციმბირის კუთხეში გადაკარგეს. იმერეთში აჯანყების მოხდენის სურვილი მალე გააქარწყლეს, რაკი წინ დღითვე გაუგეს და რუსთა გამგეობა დამკვიდრდა სამუდამოდ.

სოლომონის მეუღლე, დედოფალი მარიამი დიდის პატივისცემით წაიყვანეს პეტერბურგში და მას აქეთ ხელმწიფისა და მის სახელმწიფოსაგან განებივრებული სცხოვრებდა იქ.

ქმრისაგან მომავალი ამბები სანუგეშო არ იყო. ახალციხის ფაშა ულონო აღმოჩნდა და მეფეს ვერა უშვე-

თამდის გრძელდება და ამის გამო მკვიდრნი დიდს შეწუხებაში არიან.

აქამდის ჩვენში ხეირიანი სასტუმრო არ იყო. ეხლა-კი მ—მ გამართა სასტუმრო დიდს ქუჩაზედ. იგივე სასტუმროს პატრონი ჰმართავს თავისის ხარჯით სცენას ქართულ წარმოდგენებისთვის. აქეთ ამ ჟამად კაი ამინდებია. ორიოდე დღეს იყო ყინვები და ახლა-კი დათბა.

⁂ ჩვენ გვაცნობებენ დეპეშით ლანჩხუთიდამ, რომ 19 დეკემბერს მოუკლავთ აკეთში ყაჩაღად გავარდნილი მიქელაიშვილიო.

⁂ ვაყა (გორის მაზრა)—აქაური ეკკლესია ქურდებმა გაძარცვეს. კარგა ბლომად წაიღეს ნივთები. დამნაშავეთ დაეძებენ.

⁂ მეჯვრის ხევი (გორის მაზრა) აქ „ტიფი“ გაჩნდა, რომლითაც მრავალია ავად. სნეულების მოსასპობლად გაიგზავნა ფერშალი ბ-ნი ვლადიმერ მცხვეთაძე.

⁂ ს. საქარი-ქედი (შორაპნნის მაზრა): წელს დიდი ზარალი მისცა მცხოვრებთ საქონლის ჭირმა. ახლა, როგორც იყო, გათავდა ეს ჭირი, მაგრამ სამაგიეროდ გავრცელდა ყვავილი. ვნება-კი ჯერჯერობით არა იქვს-რა. კარგი იქმნება, გამოგვიგზავნონ სოფლად ყვივილის ამცრელები.

⁂ აკეთი: (გურია): სწორედ ახირებული წელიწადია ჩვენთვის წლევანდელი წელიწადი. თითქმის მთელი შემოდგომა ისე გავიდა, რომ ორი დღე ერთად კარგი დარი არ ყოფილა. თუმცა კარგი მოსავალი იყო სიმინდისა და ყურძნისა, მაგრამ ავდრების გამო ნახევარიც ვერ შეინახეს. ბევრი წვალება და ტანჯვა გასწიეს სოფლელებმა. მაგრამ ეს არაფერია. აგერ თითქმის ოთხი თვეა, რაც ჩვენში საშინლად მძვინვარებს ვადამდები სენი ყელ-ჭირვება (სკარლატინა). არც ერთი სოფელი არ დარჩენილა ისე, სადაც თვალ-საჩინო ზარალი არ ექმნას. სხვათა შორის, ეთის საზოგადოებაშიც იჩინა თავი ერთი თვის განმავლობაში 20 ხვერპლა და, ვინ იცის კიდევ რა- ნს გამოასალმებს წუთი-სოფელს. შინლად ზარ-დაცემული და გულ- ტეხილია ხალხი! რა ჰქმნას, ვის ჰწვდინოს ხელი, არ იცის!

ვისაც ჩვენში არ უვლია, მეტადრე ზამთრობით, ის ვერც წარმოიდგენს იმ გაჭირვებას, იმ განსაცდელს, რომელსაც ჩვენ ვითმენთ ცუდი გზების გამო. ვერც ერთ გზას ვერ ჰნახავ ისეთს, რომელზედაც არშინის სიმაღლე ტალახი არ იდგეს, მიხვეულ-მოხვეული, აღმართ-დაღმართი და ვიწრო არ იყოს. ჩვენი სოფლის გზები უკეთებელია, ზამთრობით მსვლელობა შეწყვეტილია. ცუდი გზებისა გამო ხალხი ეკლესიაშიც ვერ დადის წირვა-ლოცვაზედ.

⁂ გაზ. „Русская Жизнь“-ის სიტყვით, მომავალ წლის დასაწყისში სახელმწიფო საბჭო განიხილავს ფრიად შესანიშნავს პროექტს—დედათა განათლებაში ცვლილებათა შემოღების შესახებ. ეს პროექტი შემუშავებულია საგანგებო კომისიის მიერ, რომლის თავმჯდომარედაც თავ. ვოლკონსკი იყო.

ალექსანდრე ყაზიბეგის გასვენება

კვირას, 19 დეკემბერს, დილის $9^{1}/_{2}$ საათზედ დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს საჯვარეში, აქ მისმა ყოვლად უსამღვდელესობამ ალავერდის ეპისკოპოზმა ბესარიონმა გადაიხადა პანაშვიდი, მიცვალებულის ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზიბეგის სულის მოსახსენებლად, რის შემდეგაც განსვენებულის გვამი მისვენებულ იქმნა ანდერძის ასაგებად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

აქაც დიდძალი ხალხი დაუხვდა, განსვენებულის პატივის-საცემლად მოკრებილი. კორტეჟს წინ მიუძღოდნენ ცხენოსანი პოლიციელები, შემდეგ ოთხი გუნდი მგალობლებისა—სათავდ-აზნაურო მოსწავლეთამიერ შემდგარი, გუნდი რატილისა, სემინარიის მოსწავლენი და კერძო გუნდი. გუნდს მიჰყვებოდნენ დეპუტაციები, საქართველოს სხვა და სხვა ქალაქიდგან ჩამოსულნი ცხედარის პატივსაცემლად, ქართული მწერლები და ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი, ქართულის დრამატიულ დასის არტისტები. აქავე იყვნენ: ტფილისის გუბრნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ლ. ა. მალალაშვილი, ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი პ ა. იზმაილოვი, ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი და მრავალნი სხვანი.

მგალობელ გუნდს მოჰყვებოდა დიდ-ძალი სამღვდელოება, შემდეგ განსვენებულის კუბო მოჰქონდათ ქალებსა და მოსწავლე ყმაწვილ-კაცებს. კუბოს უკან მოდიოდა ამფიონი დიდძალის დაფნის გვირგვინებით დაფენილი. სხვათა შორის შემდეგი გვირგვინები იყო: ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ქართულ თეატრის დასისა, გაზ. „ივერიისა“, ჟურნალ „ჯეჯილისა“, გაზ. „კვალისა“, ჟურნალ «მოამბესი», გაზ. „კავკაზის“ თანამშრომელთაგან, გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან, ქ. ოდესის პროფესორებისა და სტუდენტებისაგან, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთაგან, კიევის სტუდენტთაგან, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან, ქართველ ხელოსანთაგან, ქართველ ვაჭართაგან, სოფლის მასწავლებელთაგან, გურულ მუშა-კაცთაგან, ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან, ქართველ მოსწავლე ქალთაგან, ყარსისა და სარაყამიშის ქართველთაგან, ბაქოს ქართველთაგან, ტფილისის სომეხ ყმაწვილ-კაცობისაგან, ახალ-ციხის ქართველთაგან, ბათუმის ქართველთაგან, ტფილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლე-ქალთაგან, საბალოსნო სასწავლებლის მოსწავლეთაგან, ოზურგეთის ქართველთაგან, ოზურგეთის ქართველ მასწავლებელთაგან, მოსკოვში მცხოვრებ ქართველთაგან, [illegible] სემინარიის მოსწავლეთაგან, ტფილისის ქართველ ასოთ-ამწყობთაგან, სამოსწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეთაგან, განჯის სადგურის მოსამსახურეთაგან და განჯის ქართველთაგან, ყვირილის ქართველთაგან, მთიულთაგან და მრავალი სხვა.

ეკკლესიაში მიცვალებულს წესი გადაუხადა ეპისკოპოსმა ბესარიონმაა შემდეგ სიონის მღვდელმა ანტონ თოთიბაძემ მოკლე სიტყვა წაიკითხა განსვენებულის შესახებ. მთელი ეკკლესია, გალავანი ეკკლესიისა და ქუჩა გაჭედილი იყო ხალხით.

წესის გარდახდის შემდეგ ამ დიდძალმა საზოგადოებამ თუმცა დიდად ცუდი ტაროსი იდგა, მიცვალებულის გვამი მიაცილა ვერაზედ ჯვრამდე, სადაც კუბო მცირეოდენს ხანს დასვენებულ იქმნა. აქ სიტყვა წარმოსთქვეს აკაკი წერეთელმა, გ. ე. წერეთელმა, თ. გრ. აბაშიძემ, ელენე ჭიჭინაძის ასულმა, ვ. გუნიამ, კ. თავართქილაძემ, ნ. დ. ერისთავმა ლექსი წაიკითხა ვაჟა-ფშაველასი და სხვათა. შემდეგ ეპისკოპოსმა ბესარიონმა მიწა მიაყარა განსვენებულს. ცხედარის ნათესავნი და პატივისმცემელნი გამოეთხოვნენ და ცხედარი წაიღეს სოფ. ყაზბეგში საგვარეულო სამარხში დასაკრძალავად. ზოგიერთმა პატივისმცემლებმა განსვენებულის ყაზიბეგის გვამი ეტლებით დილმამდე მიაცილეს.

სიტყვა

საუკეთესო ქართველო, პატიოსანო მოღვაწევ და მამულის ერთგულო ჭირისუფალო ალექსანდრევ!

მოზიარე საერთო სულის კვეთებისა ვდგევარ შენ წინ, რომ საუკუნოდ გამოგესალმო, ჭირისუფლურად გიტირო! მაგრამ, როდესაც მსურს ამბორ ვყო და თაყვანი ვსცე შენს ძვირფასს ნაშთს,—ცრემლი, მოწამე და წინასწარი აზღვავებულის მწუხარებისა, თვალზედვე მაშრება: ვერ ჰბედავს დაენთხიოს დიდებულს შენს კუბოს! ვერ ჰბედავს მისათვის, რომ ჭირისუფლისაგან ცხედრისათვის ცრემლის მოძღვნა ჩვეულებად, კანონად დადებულია; და შენ-კი, რომლის სიცოცხლე და სულის კვეთება ჩვეულებრივზე გაცილებით მაღლა სდგას, რომლის ცხოვრების ყოველი დღე წარმოადგენს სულის ძლიერებას და საუკეთესო ზრახვათა რუქას,—ჩვეულებრივი კაება და ცრემლი არ შე[illegible] ვბედავ ჭირისუფლურად გიტირო მისთვის, რომ თვით შენ იყავ საუკეთესო ჭირისუფალი ჩვენი; აბა სად არის ისეთი ქართველი, რომლის მაგიერადაც შენ არ გეტანჯნოს, არ გეტიროს, ცრემლი არ დაგენთხიოს! არსად! მაშასადამე ამ შენს დიდებულს ცრემლს, შენს დიდებულს შეწირულებას ვერ ვბედავ შევუერთო ჩემი უბრალო, ჩვეულებრივი ცრემლი და ისიც შენ სატირლად! შენ სატირლად ვამბობ მისთვის, რომ ტირილით მკვდარი უნდა იტირო; ტირილით ის უნდა იტირო, ვინც სამუდამოდ მოსწყდება კაცობრიობის ხეს, და ვით კარგი ნაყოფი, შეუმჩნევლად ყველასაგან დაიღუპება; ის უნდა იტირო, ვისაც სამარის ჭია ვერც-კი მოასწრებს გაულოკოს ძვლები—და ძილი, რომელსაც ჰქვიან დავიწყება, მის ხსენებას აღმოხსნის ყოველის მისის მემამულეს გულიდგან; ის უნდა იტირო, ვის უბრალო, უძეგლო სამარეს შთამომავლობა ვერც-კი მიაკვლევს! თორემ შენ, რომელმაც ღირსეული, სამარადისო ქანდაკი მოიპოვე ყოველის ქართველის გულში, დარგე იქ დაუჭკნობი ვარდი სიყვარულისა, აჩქეფე წყარო სულის ძლიერებისა და აღაგე ტაძარი ძმობის, ერთობის, დაუღალავის ბრძოლისა;—მკვდარი არა ხარ, გლოვა არ გაგებედება!.. ამისათვის, თუ ვისამე აქ მყოფის თვალზე ცრემლი დაგვინახეთ, თუ რომელიმე ქართველის სახეზე ამოიკითხეთ დღეს დაღვრემა, მწუხარება—ეს უნდა მიიამჩნიოდ არა გლოვად ჩინებულის მოხევისა, არამედ ნიშნად თანაგრძნობისა იმ ერისადმი, რომელმაც შენისთანა დიდებული მოძღვარი დაჰკარგა, რომელსაც მოაკლდა შენისთანა სასახელო მოღვაწე!.. დიაღ, ბატონებო! დიდებული მოძღვარი, სასახელო მოღვაწე!.. შვილი დიდებულის ბუნებისა, აღზრდილი საგმირო წესებით, შეიარაღებული ხალხის სიყვარულით, აღფრთოვანებული ზე შთაგონებით, განსვენებული გამოვიდა ცხოვრების სარბიელზედ საბრძოლველად. მაგრამ მისი იარაღი ხმალი და შუბი-კი არ იყო, არამედ პატარა კალმის წვერი; და ამ თვალ-და-თვალ უწყინარი იარაღით იმან ისეთი ბრძოლა გასწია, ისეთი ძლიერი უტყუარი ნაბიჯი გარდასდგა და ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ თვითეულის გმირისათვის სახარბიელო და სანატრელია!.. აი, ასეთი გმირი ასვენია ჩვენ წინ გულ-ხელ დაკრეფილი და მოელის ჩვენგან შენდობის თქმას. მაგრამ რა აქვს შესან[illegible], ვი[illegible] ისეთი დიდებული ღვაწლი მიუძღვის ერისადმი? რა აქვს შესანდობელი მას, ვის კალამსაც ეკუთვნიან ისეთი უკვდავნი ჭკუის, გონების და გრძნობის ნაწარმოებნი, როგორც არიან „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“, „ელისო“ და სხვა. რა აქვს შესანდობელი იმას, ვინც მთელი თავის ქვეყნის მოხუცი და ახალგაზრდა, მდიდარი და ღარიბი, დიდებული და მდაბალი სიყვარულით გაიცნო, უტყუარად დაასურათა თავის ნაწერებში, საერთო სატირალი მათთან ერთად იტირა და სამხიარულოთ იდღესასწაულა? არა, მას შენდობა-კი არა—სალამი და დიდება შეჰფერის!.. და აი, ამ სალამის და დიდების მოსაძღვნელად, მრავალ-წამებულო ალექსანდრევ, იმერეთმა, შენის ნიჭის თაყვანის-მცემელმა, დამავალა მომერთმია შენთვის გვირგვინი, და აჰა ესეც ის გვირგვინიც... ნუ გაგვიჯავრდები, რომ უბრალო გვირგვინი გვიძღვნია, მგონია—უბრალოა, დროებითია; დასაყანგებელ რკინის რკალზე აკინძულია მომაკვდავი დაფნა, მაგრამ ნუ დაივიწყებ, ძვირფასო ქართველო, რომ

რა იმის მეტი, რომ ტრაპიზონში დაუნიშნეს საცხოვრებელი ბინა და მცირეოდენი ულუფა (пенсія) მისცეს. რასაკვირველია, სოლომონს რომ გულ-წრფელად შეენანა თავის დანაშაული და რუსეთის იმპერატორის სულგრძელობისათვის მიემართნა, რუსეთში დაბრუნების ნებას მისცემდნენ და თავის ცოლთან დაბინავებული ერთ-ერთ საგუბერნიო ქალაქში, როგორც კერძო კაცი იცხოვრებდა მოსვენებით. მაგრამ ტრაპიზონში თან გაყოლილნი ერთგულნი მეფეს არ აძლევდნენ ნებას და სხვადა-სხვა ამაო მოსაზრებით აიმედებდნენ. დედოფალი მალ-მალ სწერდა მოსვლას, მაგრამ არა გამოვიდა-რა.

1815 წ. სოლომონი გარდაიცვალა ტრაპიზონში. ეს ამბავი მალე გაიგო დედოფალმა და ისე შეწუხდა, რომ ექიმებს ერთხანად კიდეც ეშინოდათ, ჭკუაზე არ შესცდესო; როცა მობრუნდა და დამშვიდდა, მეტის-მეტის სინამდვილით წარმოუდგებოდა ხოლმე წარსული ბედნიერება და თვალ-ცრემლიანს, მწუხარებისაგან მოქანცულს და დაუძლურებულს—მიეძინებოდა ხოლმე მუთაქაზედ. მოაგონდებოდა ხოლმე სიამოვნებით განვლილნი პირველნი წელნი ცოლ-ქმრობისა. ქმარი უყვარდა გაგიჟებით და განა შეიძლებოდა არა ჰყვარებოდა ის გულითადი, ალალმართალი და მეტის-მეტი დამნდობი, ზოგჯერ გულ-ფიცხი, მაგრამ უსაზღვროდ კეთილი კაცი? ორივეს საუბედუროდ, ორი შვილი პატარაობითვე დაეხოცათ და მას შემდეგ დედოფალი უშვილოდ დარჩა. ამის გამო მათი სიცოცხლე ერთობ მოწყენილი და ნაღვლიანი იყო და ამის საბადლო ნუგეშს ეძებდნენ აყვანილ შვილობილთაგან, რომელთაც ანებივრებდნენ და ზრდიდნენ, როგორც თავის საკუთარს შვილებს. ერთი მათგანი, აზნაურის ობოლი გიორგი გეგიძე, ნაჩუქები თ. მაჭუტაძისაგან, ძალიან უყვარდა მეფე სოლომონს. სცხოვრებდნენ უბრალოდ, თავმდაბლად და მეფე ყველასათვის ადვილი სანახავი იყო. მაგრამ ყოველივე ესე შავად იჩრდილებოდა—მეფის სოლომონის მესისხლე მტერობით დადიან გრიგოლთან. მათი სამფლობელონი მხარ-და-მხარ მდებარებდნენ და მომიჯნავეთა შორის მუდამ გამოულეველი იყო მიზეზი შფოთისა და დავიდარაბისა, რომელშიაც ხშირად დადიანი და მეფე ჩაერეოდნენ ხოლმე. აი სწორედ ამ დროს აღეგზნებოდა ხოლმე მათ შორის სისხლ-მჰქეფი ბრძოლა, რომელშიაც ხან მეფე გამოდიოდა გამარჯვებული, ხან მთავარი, მათი სამფლობელონი ოხრდებოდნენ და ერთმანერთისაგან ხელთ დაშთენილს ტყვეებს—დედა-კაცებს და ბავშვებს—ჰყიდდნენ ოსმალეთში. მეფისა და მთავრის შერიგებას ბევრსა ცდილობდნენ ორსავე მხარეს მღვდელთმთავარნი და სამღვდელონი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. 1802 წ. ხელახლად შეიბრძოლნენ და მეფე სოლომანმა ძალიან დაჯალდა დადიანი, წაართვა სამეგრელოს ნაწილი ლეჩხუმი და დანარჩენი სამთავროს დაპყრობასაც ემუქრებოდა; ამ გაჭირვების დროს დადიანმა სთხოვა რუსეთს შემწეობა და თავის ხალხით ქვეშევრდომობა აღუთქვა. დადიანის საშველად გაგზავნილი ჯარი ყულევში გამოვიდა ზღვით. პოლკოვნიკი რიკგოფი თავგამოდებით წაექომაგა დადიანს და ლეჩხუმი დაუბრუნა, სამეგრელოდან გააძევა სოლომონის ჯარის კაცნი და თვით სოლომონი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. სწორედ ამ დროს გაიმართა სოლომონსა და ციციანოვს შუა ლაპარაკი რუსეთის ქვეშევრდომობაზედ. ყოველივე ეს აჩქარებით კეთდებოდა მეფის კარის კაცთა შორის უთანხმოებისა და არეულობის გამო. ერთნი რუსეთისაკენ იწევდნენ, მეორენი წინააღმდეგნი იყვნენ. სოლომონი მათ სათამაშოდ გარდაიქმნა. ყველაფერი გათავდა და იმერეთმა იკისრა რუსეთისქვეშევრდომობა, ამისი ხელშეკრულობის წერილი რიგიანად არ იყო მოსაზრებული და შედგენილი, არამედ შესდგა შემთხვევით და ისე აუწონ-დაუწონავად; ამისგამო როცა რუსები შემოვიდნენ იმერეთში, სოლომონი მაინც ვერ აძლევდა თავს მოსვენებასა, რადგან კარის კაცნი ხან რას ჩასჩიჩინებდნენ, ხან რას და იმასაც მისვე სამტროდ. ყველა ესე მეჭორენი და ენა მლიქვნელნი ცხადად აგონდებოდნენ დედოფალსა და მწარედ სტიროდა თავის უბედურის ქმრის ბედსა, რომელიც მიიცვალა უცხოეთში, სათათრეთის მიწაწყალში. ამისთანა მწუხარებაში დედოფალი ისევ იმპერატორის ოჯახში ჰპოვებდა ნუგეშსა და გართობასა.

პ. ცხვილოელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უბრალო, თვალ-საჩინო გვირგვინთან ერთად ყველა ჩვენთაგან, ქართველებთაგან მოძღვნილი გვაქვს უკვდავი, მეირსაშოვნელი გვირგვინი: იმის რკალი შენი საყვარელი ქვეყნის მშვენიერი ზღუდეებია და მას ზედ აკინძული დაფნა— ყოველის ქართველის შენდამი სიყვარული, სასოება, პატივი და თაყვანისცემა!.. დაე, ამ დიდებულმა გვირგვინმა სამარადისოდ შეგიმკოს დიდებული სამარე იმ დიდების, ძლიერების, მშვენიერების მხარეს, რომელსაც მთელი შენი სიცოცხლე შესწირე, რომელსაც გულში იკრავდი; სურვილსა და ერთგულებას გარს ახვევდი! დაე, აწ იმან ჩაგიკონოს გულში, მოგეალერსოს, გესიყვარულოს!.. დაე, ყოველმა გრგვინვამ თერგისამ გასმინოს შენი ერის საგმირო სიმღერა შენდა მოსაგონარად შეთხზული და ყოველმა ნაწილმა ყინულისამ დიდებული მყინვარის მკერდზე მოგაგონოს გაყინული ცრემლი შენს კუბოზე დანთხეული თვითეულის ქართველისაგან!..

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო მოღვაწევ!..

გრ. აბაშიძე

◆◆

გაზ. «Русс. Вѣд.»-ი ა. მ. ყაზბეგის გარდაცვალების გამო

(წერილი ა. ხახანაშვილისა)

11 დეკემბერს ტფილისში ხანგრძლივ ავადმყოფ[illegible] გარდაიცვალა ქართველთა ნიჭიერი ბელეტრისტი ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი, ცნობილი ლიტერატურაში მოჩხუბარიძეს სახელით. განსვენებულს წარჩინებული ადგილი ეჭირა თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის, ერთსა და იმავე დროს რომანისტიც იყო, ლირიკული პოეტიცა და ისტორიულ დრამებისა ზ ხალხის ცხოვრებიდან კომედიების მწერალიც. მას შემდეგ, რაც მისი მოთხრობა „ელგუჯა“ დაიბეჭდა მე-80 წლებში, ყაზბეგის სახელი განითქვა და ძვირფასი შეიქმნა ქართველ მკითხველისათვის. იმის ნაწარმოებში აღნიშნულ-დასურათებულია კეთილშობილი გრძნობა და ვნებათა ღელვა, მხურვალე სიყვარული სამშობლოს მიმართ და საუკეთესო პოეტური სურათები. იგი ბუნებითვე დიდის პოეტურის ნიჭით იყო მომადლებული და ადვილად ჰქმნიდა ხოლმე მთის ცხოვრების ბრწყინვალე და დიდს სურათებს და იმდენად იშვიათი ნიჭიცა ჰქონდა დაკვირვებისა, რომ შეეძლო ამოეკითხა კაცობრიობის ფარულნი გულის ნადებნი და გადმოეშალა საუცხოო ზნე-ჩვეულებანი, როგორც თავის თანამეტომე მთიელებისა და მოხევეთა, ისე სხვა ტომის ინგუშებისა და ჩაჩნებისა.

ეს-კია, რომ მოჩხუბარიძეს ყოველ ნაწარმოებს, თითქოს ბუნების საუცხოო სურათთა წინააღმდეგ, ატყვია უნუგეშო ბეჭედი ავტორის სულის ვითარებისა, ავტორისა, რომლის სახეზედაც ბრწყინვალე ღიმილს ვერასოდეს ვერ დაინახავდით. ამითი თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველი მისი მოთხრობა უბედურებით ბოლოვდება, მისის ნაწარმოების ყოველი გმირი იღუპება, ბუნების შეყვარებულნი შვილნი უეჭველად უბედურებად იხოცებიან. იმის ნაწარმოებში ჩვეულებრივი ამბავია აშკარა უსამართლობა, ადამიანის ღირსებისა და დედაკაცის პატიოსნების შელახვა და ყოველი ეს მწერალის გულს აღელვებდა, რისხვით ავსებდა, აძრწუნებდა და მისი ძარღვები ამ გრძნობამ და აღშფოთებამ იმდენად შეასუსტა, რომ 35 წლისას მ ს გონების შერყევის ნიშნები გამოაჩნდა, ოთხს წელიწადს სულით ავადმყოფთ სადგომში იტანჯა და 11 დეკემბერს მიიცვალა...

აი, ასეთი ბედი ხვდა ქართველთა მოპასანს, რომელსაც ყოველი თვალის დახამხამება ზეგარდმო შთაგონებისა უხვად აფრქვევინებდა ხალხისათვის უჩინრად მდუღარე ცრემლს, მუნჯად სტანჯავდა, ჰო-არაობასა და სულის შფოთვაში ამყოფებდა. იმ დროს, როდესაც ოთხი უშველებელი წიგნი იბეჭდება მარტო მისის მოთხრობებისა, საქართველოს ყოველის მხრიდგან ფულადი წვლილი იგზავნებოდა ძვირფასის მწერალის შესაბრალის სიცოცხლის დასახმარებლად და საშემწეოდ. მარტო ის გარემოებაც, რომ მუშა ხალხმა თავისი ხვედრი ფული შეიტანა მოჩხუბარიძის სასარგებლოდ, აშკარად ამტკიცებს, რა ძლიერ უყვარდა საზოგადოებას. და მართლაც რომ ღირსი იყო ამ ქართველის ერის სიყვარულის საერთო აფეთქებისა. ალ. მ. ყაზბეგმა პირველში ჩაანათა სხივი მთიელის გულის სიღრმეში და გამოაქვეყნა, რომ ჩაჩანი და მოხევე ისეთივე კაცი იყო, აღსავსე უხვის გრძნობითა და გულის ზრახვითა, [illegible] ყოველი მომაკვდავი. მან დაგვარწმუნა და დაგვაბეჯითა, რომ მთიელიც ებრძოდა თავისს გულში ორს გრძნობასა, გრძნობას ვნებისასა და სიყვარულისას და იგიც იტანჯოდა, როდესაც უძლური, მაგრამ მართალი, მძლავრს უსამართლობას ებრძოდა... იმის კალამს ქვეშ ტყავგადაცმული მეცხვარე გმირად გარდიქმნა, გმირად, რომელიც სავსე იყო კეთილშობილებით, ბრწყინვალე გულის განზრახვით, მეგობრულისა და სიყვარულის სიმტკიცით; მთამა და ტყემ, ტურამ და ძაღლმა, მდინარემა და ბალახმა ენა ამოიდგა და თავისის განსაკუთრებულის ენით დაიწყო ლაპარაკი, თანაუგრძნო სიმართლეს და მწუხარება განუცხადა მართალს დევნულსა.

◆◆

დამაკვირდი

ლიბერალი შეიძლება მინისტრად გახდეს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ იგი ლიბერალი მინისტრი იქმნება.

ვ. ჰუმბოლტი

**

სურვილი ღვიძლი მამაა იმედისა.

მარიამ ებნერ-ეშენბახი

**

შეიძლება რომ შენზედ ერთის დღით უფროსი ჭკუით ერთის წლით შენზედ უფროსი იყოს.

მეიდანი (არაბულ.)

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

პაპმა ლეონ მე XIII მემ კარდინალებს გამოუცხადა თვისი სურვილი; მე მსურს მოციქულად ვიყო მთელის ევროპისა და მთელის ქვეყნის თავისუფლებისა:

გაზეთი „Нов. Время“ ამბობს ამ ამბის შესახებ.

ამ უკანასკნელ ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში მთელი ევროპა შეიარაღებულ ბანაკად გადაიქცა. ამ ამბავს, უეჭველია, ბოლო უნდა მოეღოს. ყველანი იმეორებენ ლათინთა ცნობილ ანდაზს „si vis pacem, para bellum“ (თუ მშვიდობიანობა გსურს, ომისთვის მზად იყავ), მაგრამ არა გვგონია, რომ ამ ომის მუდმივმა მზადებამ ისე ჩაიაროს, რომ ბოლოს დროს მაინც ომი არ გამოიწვიოს და დაუსრულებელი მშვიდობიანობა დაამყაროს. იმ აუარებელის ჯარის შენახვა, რომლისათვის იხარჯება ნაყოფი განათლებულ სახელმწიფოთა შრომისა და მეცადინეობისა მეტად ძნელია, და ეს შენახვა ჯარისა შეუძლებელია მუდამ ომის ასაცილებელ საშუალებად რარჩეს.

ჯარების რიცხვი თან და თან-კი არა კლებულობს, არამედ მრავლდება. ჯარის შესაიარაღებლად თან და თან სულ მეტი ფული იხარჯება, და ისეც-კი, მაგალითად იტალიაში, სადაც ამ აუარებელ ფულის ხარჯვამ ლამის მთელი ქვეყანა გაალატაკოს და დაჰღუპოს. მოციქული მშვიდობიანობისა ვერას გახდება იმ ქვეყანაში, რომლის ჰაერიც-კი გაჟღენთილია ომის მზადებითა. ეს დიდად სამწუხარო ამბავია, მაგრამ რას იზამს კაცი ომის წინაამდეგ, ვიდრე ადამიანი ადამიანია, ე. ი. ისეთი სულდგმული, რომელიც ყოველგვარ ძალღონესა და თავის ჭკუა გონებასა ხმარობს თავის ინტერესებს დასაცველადა და [illegible] სურვილის განსახორციელებლად.

◆◆

უცხოეთი

გალიცია. გალიციის ადმინისტრაცია ყოველგვარ ღონის ძიებასა ხმარობს პანსლავიზმის წინააღმდეგ. მთავრობამ გადასწყვიტა, დამნაშავეთა სასამართლოში მიცემა და ციხეში დაპატიმრება საკმარისი არ არისო. როგორც გალიციის გაზეთები იუწყებიან, ავსტრიის იმპერატორის ბძანებით ქალაქებ პერემიშლსა, ლვოვსა, და კრაკოვში დაარსებულ იქმნება საგანგებო პოლიცია, რომელსაც დაევალება აღმოაჩინონ და სამართალით სდევნონ გალიციაში »მოსკოვის ჯაშუშები“.

ავსტრი-უნგრეთი. ვენაში საფრანგეთის ახალმა ელჩმა ლოზამ სთხოვა ავსტრიის მთავრობას საფრანგეთიდგან მოტანილ ღვინოებზედ ავსტრიამ ბაჟი უნდა შეამციროს და ისეთი შეღავათი მისცეს, როგორიც არსებობს ჩრდილოოეთ-იტალიისა და სერბიიდგან შემოსატან ღვინოებისთვის. საფრანგეთი თავის თხოვნას ამყარებს იმ ხელ-შეკრულობაზედ, რომლის ძალითაც საფრანგეთი იმ სახელმწიფოდ უნდა ითვლებოდეს, რომელსაც უფრო მეტი შეღავათი უნდა ჰქონდეს მინიჭებული ავსტრიის მიერ. ხოლო ამ თხოვნის ასრულებისა მეტად წინააღმდეგია ვენგრია, რომელსაც ეშინიან სხვა სახელმწიფოთ კონკურენცია არ გაუწიონ ჩვენ ღვინოებსაო. ხმა დადის, რომ ავსტრია უარს ეტყვის საფრანგეთს მის თხოვნაზედაო და მაშასადამე, ეხლა ავსტრიასა და საფრანგეთ შორის დაიწყება სადამაჟნო ომი.

—

საფრანგეთი. პარიჟში იმყოფება მალოროსთა სათეატრო დასი. თუმცა ამ დასის წარმოდგენებს ხალხი საკმაოდ ესწრებოდა, მაგრამ ანტრეპრენერმა ისე ცუდად წაიყვანა თავისი საქმე, რომ უკანასკნელ წარმოდგენის შემდეგ დასი იძულებულ შეიქმნა მშიერ მწყურვალს მთელი ღამე ქუჩაში გაეტარებინა, რადგანაც იმ სასტუმროში, სადაცა სცხოვრობდნენ, ვალი დაედოთ, გადახდა არ შეეძლოთ და სასტუმროს პატრონმა სასტუმროდგან გამორეკა. „Figaro“ სთხოვს საზოგადოებას, ამ საბრალო არტისტებს დაეხმარეთო.

ამერიკა. პრეზიდენტის კლიველენდის ქალიშვილები ვიღაც უცნობ ავაზაკებმა მოიტაცეს. ეჭვი არ არი, იმ განზრახვით, რომ მათ განთავისუფლებისთვის მამას ფული გამოსძალონ.

◆◆

გასართობი

—

თავადი კონტი ძალიან მახინჯი და სულელი კაცი იყო. ერთხელ ისლ-ადამში მიდიოდა, სადაც რამდენსამე დღეს უნდა დარჩენილიყო, და თავის ცოლს დაიბარა:

— აბა, ჩემო მშვენიერო, სანან დავბრუნდებოდე, არ მიღალატო-კი.

— ნუ რა გეფიქრებათ-რა, ჩემო ბატონო, უპასუხა ცოლმა: თქვენის ღალატის სურვილი მხოლოდ მაშინ მომივლის ხოლმე, როდესაც თქვენა გხედავთო.

**

ალფონს ბრძენი, არაგონიის მეფე, ამბობდა ხოლმე: ბედნიერის ცოლ-ქმრობისათვის საჭიროა, რომ ქმარი ბრმა იყოს და ცოლი ყრუო.

**

გასკონიის ერთმა აზნაურმა, გვარად ვონაკმა, ძალიან გვიან იცოდა ლოგინიდგან ადგომა, ამის გამო ამხანაგები დასცინოდნენ. ვონაკი ასე ჰმართლულობდა ხოლმე თავს:

— მიზეზი ჩემის გვიან ადგომისა ის არის, რომ ყოველ დილა ვისმენ ხოლმე კამათს სიზარმაცისა და ბეჯითობისას. სიბეჯითე მარიგებს, ჩქარა წამოიწიე და სასარგებლოს რასმე შეუდექიო; სიზარმაცე-კი მარწმუნებს, რომ თბილს ლოგინში წოლა ყველასა სჯობიან და მოსვენება შრომას გირჩევნოდესო. ისინი ამ ჯიბრსა და ლაპარაკში არიან, მეყურს ვუგდებ და ველი, როდის მორიგდებიან-მეთქი. აი, ეს არის მიზეზი, რომ ამდენს ხანსა ვრჩები ლოგინშიო.

◆◆

დეპეშა

19 დეკემბერი

პეტერბურგი. დამზღვეველ საზოგადოება „როსიანინში“ მომხდარმა რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ძირეული თანხა ამ საზოგადოებას სულ არა ჰქონია და საზოგადოების დაარსების დროსაც რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკებიდან უსესხნიათ ფული და ისე შეუდგენიათ ეს თანხა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ფინანსთა მინისტრთან მორიგებისამებრ, განკარგულება გასცა, რომ ხსენებულს საზოგადოებას აღეკრძალოს მამულების დაზღვევა ყველგან რუსეთშიო.

ლონდონი. ცნობილი აფრიკის მკვლევარი სამუელ ბეკერი გარდაიცვალა.

20 დეკემბერი

პეტერბურგი. „Гражд.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტთა შეერთებულმა საკრებულომ განიხილა პროექტი შესახებ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაკეთებისა. პროექტი შეწყნარებულ იქმნა მცირეოდენის ცვლილებით.

ათინა. დეპუტატთა პალატის აივანზედ ვიღაცამ გადმოაგდო ყუმბარა ასაფეთქებელ წამლით; ყუმბარა აფეთქდა, პალატის კრება არ დაიშალა, შემდეგ გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ ყუმბარაში არაფერი საშიში წამალი არა ყოფილა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	$7_{,55}$	$7_{,57}$	— „
ტამოჟნის კუპონები	151	151¹/₂	— „
მანეთიანი ვერცხლის ფული	— „	— „	— „
5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	246³/₄
—მეორისა		— „	220
4°/₀ მესამე სესხისა.	— „	— „	— „
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— „	— „	189
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀	100¹/₂	— „	— „
5°/₀	— „	99	— „
ქუთაისის ბანკისა 6°/₀	100¹/₂	— „	— „
5°/₀	— „	99	— „
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	97¹/₂	— „	— „

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

გამგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ 30 დეკემბერს ამა 1893 წლისა, ბანკის სადგურში ფრეილინის ქუჩაზედ, ბანკისავე არწრუნისეულ შენობაში, იქმნება განმეორებითი და უკანასკნელი ვაჭრობ ქვემოდ მოხსენებული მამულებისა, რომლებიც პირველი ვაჭრობის დროს ე. ი. 15 ამ დეკემბრისას, არ გა[illegible] და:

1, ნიკოლაძე ნიკო იაკობის ერთ-სართულიანი ქვითკირის ს[illegible] ეზოთი, მიწა ზომით 235 ოთხ[illegible] საჟენი, მე 7 ნაწილში მე 2 განყ[illegible] ფილებაში ქ. ტფილისს, ნათლუხ[illegible] თავნი ვალი 406 მან. 81 კ. შე[illegible] გარდ. 62 მ. 68 კოპ. და სრუ[illegible] 469 მ. 49 კ. 2) ღოლანდჯანია[illegible] ისადჯან ბაბაჯანასძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამ-სართულიანი და ორს სართლიანი ფლიგელები, მიწა ზომით 50,5. ოთხკუთხი საჟენი; მე 5 განყოფილებაში ქ. ბაქოს. თავნი ვალი 4619 მან. 4 კ. შემოსატ. გარდ. 177 მან. 28 კოპ. და სრულად, 4796 მან. 32 კოპ.

(1—1)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იატაკიდამ იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Декабря 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე